MCA-Georgia გრანტის ფარგლებში კოლეჯის

ძირითადი აქტივობები

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა, რომელიც დაფუძნდა 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზა“-სა და სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“-ს მიერ, მონაწილეობა მიიღო ,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსთვის“ (MCA) - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" (ISWD) პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში და მოიპოვა გამარჯვება.

აღნიშნული გრანტი ითვალისწინებს ორი ძირითადი მიზნის მიღწევას:

1. დუალური მეთოდით პროფესიული სწავლებისთვის პროგრამების შემუშავება სარკინიგზო დარგში ახალი კვალიფიცირებული კადრების შესაქმნელად;
2. სარკინიგზო პროფესიული განათლებისა და რკინიგზაზე დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამიზნე ჯგუფებისათვის სამიზნე რეგიონებში;

მიღებულმა გრანტმა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მისცა შესაძლებლობა, გერმანიის რკინიგზის შვილობილი კომპანია DB E&C-სთან პარტნიორობით დანერგოს, დუალური მეთოდი 4 ჩარჩო-დოკუმენტში გადანაწილებულ 8 მოდულურ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში:

1.სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის ჩარჩო პროგრამა:

- ელექტრო მოძრავი შემადგენლობის მექანიკოსი;
- სავაგონო მეურნეობის მექანიკოსი;

2. რკინიგზის ინჟინერიის ჩარჩო პროგრამა:

- ლიანდაგის მონტიორი;
- სარელსო დეფექტოსკოპსტი.

3. რკინიგზის ოპერირების ჩარჩო პროგრამა:

- ლოკომოტივის მემანქანე
- სარკინიგზო გადამზიდავი
- სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება.

4.ელექტრიკოსის ჩარჩო პროგრამა:

- რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის სპეციალისტი.

პროექტის განხორციელების შედეგად კოლეჯი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოფს პროფესიული საგანათლებლო პროგრამების დანერგვას სარკინიგზო დარგში საქართველოსა და რეგიონის შრომის ბაზარზე, კვალიფიციური/კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, შესაბამისი პირობების შექმნას სარკინიგზო დარგში დასაქმებული პირების კარიერული ზრდისათვის.

ზემოაღწერილი საქმიანობის ძირითადი შედეგებია:

1. საქართველოში სწავლების ინოვაციური მეთოდის დანერგვა;

2. ევროპისა და საქართველოს სტანდარტებთან თავსებადი სწავლების დუალური მეთოდით განხორციელებადი 8 მოდულურიპროფესიული პროგრამის შემუშავება;

3. მოდულური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, დუალური სწავლების მეთოდოლოგიის ქართულ და რუსულ ენებზე მომზადება;

4. გადამზადებული აკადემიური პერსონალი და სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის გუნდი;

5. სასწავლო გარემოს და ინფრასტრუქტურის ავტორიზაციის და აკრედიტაციის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყობა;

6. ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტები დაცვა ორგანიზაციულ და პროგრამულ დონეებზე.

7. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესისთვის სრულად მომზადება;

8. სოციალური ინტეგრაციისა სტრატეგიის შემუშავდება და განხორციელება, პოტენციური სტუდენტების მოზიდვის მიზნით და სასწავლო პროცესში ქალების, შშმ და სსსმ პირების ჩართვა;

კოლეჯის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ (ადაპტირებული ინკლუზიური სწავლების სტანდარტების შესაბამისად, სსსმ და შშმ პირთა მოთხოვნებთან), გრანტის სახსრებით მნიშვნელოვანწილად აღიჭურვება სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და ლოკომოტივის მემანქანის სიმულატორებით.

გრანტის ფარგლებში, ასევე ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით, შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებში ტრენერების მომზადება.

მიმდინარე წლის იანვრის თვიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დაფინანსებით მიმდინარეობს კოლეჯის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.